პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათმფლობელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 107 (10804)

ოთხშაბათი, 8 მაისი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალცალკე სხდომებზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიების მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის შესახებ მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად.

პალატების სხდომებზე მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის დღის წესრიგი.

ნაშუადღევის 3 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

7 მაისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

დილის 10 საათზე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ პ. პ. **ლობანოვის** თავმჯდომარეობით გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა. დღის 12 საათზე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ პ. ტ. **კომარნოვის** თავმჯდომარეობით გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

პალატების სხდომებს დაესწრნენ ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ფ. რ. კოზლოვი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი,** რომელთაც დეპუტატები და სტუმრები მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

პალატებმა მოისმინეს სამანდატო კომისიების მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის შესახებ მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად.

კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **ი. დ. მუსტაფაევმა** განაცხადა, რომ მეექვსე სესიიდან მეშვიდე სესიამდე განვლილ პერიოდში კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები მოეწყო სამ საარჩევნო ოლქში. ქალაქ მოსკოვის ფრუნზეს № 7 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია ნ. ი. ბობროვნიკოვი, მოსკოვის ოლქის კუნცევოს № 32 საარჩევნო ოლქში — ვ. ი. კონოტოპი, უკრაინის სსრ კრემენჩუგის № 489 საარჩევნო ოლქში — ი. მ. პრიხოდკო.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. დ. ნაზარენკომ** მოახსენა სხდომას, რომ სესიათაშორის პერიოდში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოხდა დაღისტნის ასსრ ბუინაკსკის № 447 საარჩევნო ოლქში. ამ ოლქში დეპუტატად არჩეულია მ.—ს. ი. უმახანოვი.

კავშირის საბჭომ და ეროვნებათა საბჭომ ერთხმად დაამტკიცეს სამანდატო კომისიათა მოხსენებანი და ცნეს ახლად არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი.

პალატების სხდომებზე მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

გადაწყდა, რომ ორივე საკითხი განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე.

7 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დარბაზში ბევრია სტუმარი — საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები. სავსეა დიპლომატიური კორპუსის ლოჟები, ესწრებიან საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი,** პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

დეპუტატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ნ. ა. ბულგანინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. კირიჩენკოს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიკოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბაროვს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, გ. კ. ჟუკოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ა. მუხიტდინოვს, დ. ტ. შეპილოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ბ. არისტოვს, ნ. ი. ბელიაევს, პ. ნ. პოსპელოვს,** რომელნიც მთავრობის ლოჟებში გამოჩნდნენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სხდომას ესწრება ცეილონის პარლამენტის დელეგაცია სენატორის ბ-ნ ვიჯესინგჰეს მეთაურობით. დამსწრეთა სახელით პ. პ. ლობანოვი გულითადად მიესალმება სტუმრებს. დარბაზში კვლავ გაისმის ტაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იწყებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დროს მრავალგზის გაისმოდა დეპუტატებისა და სტუმრების ხანგრძლივი ტაში.

• • •

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა ცეილონის პარლამენტის დელეგაციის მეთაურს ბ-ნ ჯ. ვიჯესინგჰეს. ცეილონის დელეგაციის, პარლამენტისა და ხალხთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს და ბედნიერი ცხოვრება, აყვავება და მშვიდობა უსურვა საბჭოთა ქვეყანასა და მის ხალხებს.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

8 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს.

(საკადესი).

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის *მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე*

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინადადებით შემოტანილია საკითხი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა მინდა გაცნობოთ ზოგიერთი შედეგი ამ საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვისა მიმდინარე სესიისათვის მზადების პერიოდში. 30 მარტიდან 4 მაისამდე საწარმოებში და მშენებლობებზე, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საბჭოთა არმიის ნაწილებსა და სასწავლებლებში წინასწარი ცნობებით მოეწყო 514 ათასზე მეტი კრება, რომლებსაც დაესწრო 40 მილიონ 820 ათასი მშრომელი, აქედან 2 მილიონ 300 ათასმა კაცმა შემოიტანა თავისი შენიშვნები და წინადადებანი მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებზე. ამ საკითხების განხილვა ფართოდ იქნა გაშუქებული ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში გამოვიდა 68 ათასზე მეტი კაცი თავისი წინადადებებით, შენიშვნებით, დამატებებით. მაგალითად, მარტო გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა 854 ავტორის სტატიები, წერილები, წინადადებები, ხოლო ამ ორი გაზეთის რედაქციებმა მიიღეს სულ რვა ათასზე მეტი წერილი და სტატია წინადადებებით ამ საკითხზე.

ამრიგად, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის განხილვამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. ეს განხილვა საბჭოთა დემოკრატიზმის ახალი მკაფიო დადასტურებაა. იგი დამაჯერებლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირში არა სიტყვით, არამედ საქმით არის უზრუნველყოფილი მშრომელთა მილიონიანი მასების უფართოესი მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხების გადაჭრაში. ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა იმის კონკრეტული მაგალითია, თუ როგორ ხორციელდება კოლექტიური ხელმძღვანელობის და ხალხთან ხელმძღვანელობის განუყრელი კავშირის ლენინური პრინციპი, როცა პარტია და მთავრობა კომუნისტური მშენებლობის მომწიფებული ამოცანების განხილვისას ეთათბირებიან ხალხს, რომლის კოლექტიური გონება გვეხმარება მოვნახოთ ყველაზე სწორი გადაწყვეტა.

საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო მშრომელთა უფართოესი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი ზრდა, მათი მისწრაფება და ნება — განახორციელონ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ჩვენი ნრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხები ერთსულოვნად და მხურვალედ უჭერენ მხარს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, და მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიებანი სავსებით მომწიფდა და შეესაბამება მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ლენინურ პრინციპებს.

როგორც საყოველთაო-სახალხო განხილვამ გვიჩვენა, საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება. თავისი სამშობლოსათვის კანონიერი პატრიოტული სიამაყის გრძნობით ჩვენი ხალხი აღნიშნავს, რომ ჩვენ ახლა გვაქვს ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზებზე ისტორიულად უმოკლეს ვადებში გადავჭრათ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სამეურნეო მშენებლობის ძირეული საკითხების განხილვამ ახალი ძალით ცხადყო ჩვენი დიადი ლენინური პარტიის ერთიანობა, მისი ურღვევი კავშირი ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც გამოწრთობილია ბრძოლებში მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის და შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიით და სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილებით. **(ტაში).**

საყოველთაო-სახალხო განხილვის დამახასიათებელი ნიშანი იყო ნამდვილად ბოლშევიკური შეურიგებლობა უდარდელობის, თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის განწყობილებისადმი, დაუცხრომელი მისწრაფება ვიაროთ წინ და გადავლახოთ ჩვენს გზაზე სიძნელენი და დაბრკოლებანი, ვიბრძოლოთ უძრაობისა და მოდუნების, ბიუროკრატიზმისა და უწყებრივი შეზღუდულობის მოვლენების წინააღმდეგ. განხილვა მიმდინარეობდა ნამდვილად სოციალისტური დემოკრატიზმის, აზრთა თავისუფალი ურთიერთ გაზიარების, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროში, კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების გადასაწყვეტად მთელი ძალების დარაზმვისა და მობილიზაციის ვითარებაში. შემოტანილ იქნა ბევრი ძვირფასი წინადადება, თუ როგორ მოეწყოს უკეთესად მრეწველობისა და მშენებლობის მართვა ცალკეული ეკონომიური რაიონების, ოლქებისა და რესპუბლიკების, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების კონკრეტული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. გამოითქვა ბევრი სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა, რომლებიც ამეღავნებენ დიდ ნაკლოვანებებს სამინისტროებისა და უწყებების, საგეგმო ორგანოების, საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში. ეს წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები საშუალებას გვაძლევს გამოვნახოთ სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის უფრო სრულყოფილი, უფრო მოქნილი ფორმები და ამასთანავე დაგვეხმარება დავაწინაუროთ ათასობით ახალი და ახალი ნიჭიერი ორგანიზატორი და სპეციალისტი სამეურნეო მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად ვიაროთ წინ.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველთვის გულისხმიერად და ყურადღებით ეკიდებიან მშრომელთა წინადადებებს, მათს კრიტიკულ შენიშვნებს. ამასთან პარტია და მთავრობა ხელმძღვანელობენ ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებით, რომელიც ამბობდა: „ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვმართოთო, როდესაც სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეგნებული აქვს“. (თხზ., ტ. 33, გვ. 357). ახორციელებს რა ლენინის ანდერძს, პარტია შეუპოვრად და დაუცხრომლად განამტკიცებდა და განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ეს არის სწორი ხელმძღვანელობის საწინდარი, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებების საწინდარი.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვამ მოგვცა უმდიდრესი მასალა, რომელიც საჭიროა ღრმად და ყოველმხრივ განვაზოგადოთ, შევისწავლოთ, გავაკეთოთ სწორი დასკვნები ჩვენი მომავალი მუშაობისათვის. განხილვის მსვლელობაში შემოტანილი მრავალი წინადადება ჩვენ გავითვალისწინეთ, მაგრამ ერთ მოხსენებაში შეუძლებელია ამოვწუროთ ეს ვრცელი მასალა. იმედი მაქვს, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გამოსვლებში შეავსებენ მოხსენებას თავიანთი წინადადებებით და შენიშვნებით. საყოველთაო-სახალხო განხილვის მასალების განზოგადების საფუძველზე უმაღლესი საბჭო შეიმუშავებს კანონს, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის ინტერესებს მის დიად შემოქმედებითს მუშაობაში ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

I.

სსრ კავშირში მძლავრი სოციალისტური ეკონომიკის შექმნა პარტიის ლენინური გენერალური ხაზის ზეიმია

ამხანაგო დეპუტატებო! სრული ექვსი თვის შემდეგ ჩვენი ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს, იმ მსოფლიო-ისტორიული დღის წლისთავს, როცა რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მისი დამაარსებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის მეთაურობით დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. სულ ორმოცი წელი გავიდა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების მომენტიდან, ხოლო რა განსაცვიფრებლად შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სამშობლო — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, რა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ასეულ მილიონობით მშრომელმა ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. მარქსი რევოლუციებს ისტორიის ლოკომოტივებს უწოდებდა. ეს სიტყვები თვალნათლივ დაადასტურა ჩვენი პროლეტარული რევოლუციის გამოცდილებამ, რომელმაც უმაგალითოდ დააჩქარა ისტორიის წინსვლითი განვითარება და დასაბამი მისცა დიადი მსოფლიო სოციალისტური ბანაკის შექმნას.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში მშრომელი ხალხი ისტორიაში პირველად გახდა თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი. ქარხნები, ფაბრიკები, ტრანსპორტი, მიწა, ტყეები, ჩვენი სამშობლოს მთელი ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის კუთვნილება გახდა.

ცნობილია, თუ რა მძიმე მემკვიდრეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ცარიზმისაგან, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისაგან. უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რა დაუჯერებლად ძნელ პირობებში უხდებოდა საბჭოთა ხალხს დაეწყო უმაგალითო მუშაობა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისათვის. როგორც კი რუსეთში მოხდა სოციალისტური რევოლუცია, ჩვენი ხალხის წინაშე დაისახა ამოცანა განემტკიცებინა თავისი რევოლუციური მონაპოვარნი. საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა შეგვექმნა საკუთარი სოციალისტური მრეწველობა, შეგვექმნა ძმიმე ინდუსტრია და ამ ბაზაზე განგვითარებინა სოფლის მეურნეობა, უზრუნველგვყოფ პირობები მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მისაღებად, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გასაფართოებლად. არა მარტო ნგრევა და შიმშილი, რაც პირველმა მსოფლიო ომმა და უცხოელთა ინტერვენციამ გამოიწვია, — რუსეთის საუკუნეობრივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა განსაზღვრავდნენ ჩვენს სიძნელეებს. ამ სიძნელეებს ართულებდა მსოფლიო იმპერიალიზმი, რომელიც შეიარაღებული ინტერვენციის ჩაფუშვის შემდეგ ცდილობდა დაეხრჩო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ეკონომიური ბლოკადის გზით, ხოლო შემდეგ განუწყვეტელი ძირგამომთხრელი მოქმედებით სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. კაპიტალისტები არათუ არ გვაძლევდნენ სესხებს, არამედ ყოველივეს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩაშალათ სამეურნეო მშენებლობა სსრ კავშირში. ჩვენი სიძნელენი იმითაც აიხსნებოდა, რომ საბჭოთა ქვეყანას სოციალიზმის მშენებლობა უხდებოდა მტრული კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში, რომ იგი გაუკვალავი გზით მიდიოდა.

მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას საბჭოთა რუსეთში მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისოც. იმპერიალისტების შეიარაღებული შემოტევის მოგერიების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა მთავარ ზემოქმედებას საერთაშორისო განვითარებაზე ახდენს თავისი სამეურნეო მშენებლობით. ყოველი მისი წარმატება ეკონომიურ ფრონტზე მკევრმეტყველურად მოწმობდა ახალგაზრდა სოციალისტური სისტემის უპირატესობებს, ამრავლებდა სოციალიზმისათვის მებრძოლთა ძალებს, განამტკიცებდა მათს პოზიციებს.

თვალს ავლებენ რა ახლა ორმოცი წლის მანძილზე განვლილ გზას, საბჭოთა ადამიანები მადლობით ლაპარაკობენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის იმ დიად გეგმაზე, რომელიც შეიმუშავა და მეცნიერულად დაასაბუთა ვ. ი. ლენინმა და რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შრომით განახორციელა საბჭოთა ხალხმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის კოოპერირებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას. ლენინურმა გეგმებმა იდეურად შეაიარაღა პარტია, დაუსახა ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობის ნათელი გზა, გამოიწვია მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის კურსი ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი გახდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური მშენებლობის გეგმების პრაქტიკული განხორციელების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის პარტიისა და სახელმწიფოს ორგანიზატორულ მუშაობას, რომლებმაც შეიმუშავეს და მუდამ სრულყოფდნენ სახალხო მეურნეობის მართვის ფორმებსა და მეთოდებს.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ძირითადი პრინციპი უნდა გახდეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მეურნეობისადმი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელმძღვანელობა სწორად შევახამოთ მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის მაქსიმალურ განვითარებასთან.

ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებული ცენტრალიზმი, წერდა ვ. ი. ლენინი, გულისხმობს ისტორიით პირველად შექმნილ შესაძლებლობას, რომ სრულად და დაუბრკოლებლივ განვითარდეს არა მარტო ადგილობრივი თავისებურებანი, არამედ აგრეთვე ადგილობრივი თაოსნობა, ადგილობრივი ინიციატივა, გულისხმობს საერთო მიზნისაკენ მოძრაობის გზების, ხერხებისა და საშუალებების სხვადასხვაობას.

სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრინციპს სოციალისტურ სახელმწიფოში წარმოადგენს დაგეგმვა. „მხოლოდ იმ მშენებლობას შეუძლია დაიმსახუროს სოციალისტურის სახელწოდება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც დიდი საერთო გეგმის მიხედვით იწარმოებს, ეცდება რა თანაზომიერად გამოიყენოს ეკონომიური და სამეურნეო ფასეულობანი“. (თხზ., ტ. 28, გვ. 25).

სახალხო მეურნეობის განვითარების გამოცდილება, რაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებშია შეძენილი, ადასტურებს სოციალისტური მშენებლობის მართვის ლენინური პრინციპების დიდ სასიცოცხლო ძალას. საბჭოთა კავშირის გიგანტური წარმატებები სამეურნეო მშენებლობის დარგში ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის. თანმიმდევრულად ხორციელებს რა ლენინურ გეგმებს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადაში ააშენა სოციალიზმი. ხუთწლედების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია. ამან შესაძლებლობა მოგვცა ტექნიკურად ხელახლა შეგვეიარაღებინა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და განუზომლად გაგვედიდებინა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ფართოდ აღვნიშნეთ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის ისეთ შესანიშნავ პირმშოთა ოცდახუთი წლისთავი, როგორიც არიან მაგნიტოგორსკის და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატები, მოსკოვის პირველი საკისართა ქარხანა და გორკის ავტოქარხანა. ამ გიგანტმა ქარხნებმა, ისევე როგორც დნეპრჰესმა, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ, ბევრმა შახტმა, მაღარომ და სხვა საწარმომ, ახალმა რკინიგზის მაგისტრალებმა, რომლებიც პირველი ხუთწლედების წლებში აშენდა, უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

თქვენ კარგად იცით, ამხანაგებო, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დიადი ამოცანების გადაჭრა აგრეთვე დაკავშირებული იყო უდიდეს სიძნელეთა გადალახვასთან, ამასთან ერთად წარმოებდა მწვავე ბრძოლა ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ პარტია ერთადერთი სწორი ლენინური გზისათვის, ჩაეშალათ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია თავისი პარტიის გარშემო, გაანადგურეს კაპიტულანტები — ლენინიზმის მტრები. ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან უმაგალითოდ მოკლე ვადაში გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდი სამამულო ომის მკაცრმა განსაცდელმა მთელი დამაჯერებლობით ცხადყო, რამდენად ბრძნული და შორსმჭვრეტელურია პარტიის ლენინური გენერალური ხაზი, რომლის მიზანია პირველ რიგში განვითარდეს მძიმე მრეწველობის გადამწყვეტი დარგები. ამ ხაზის თანმიმდევრულმა განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ძლიერების, მისი თავდაცვისუნარიანობის განუწყვეტელი განმტკიცება, უზრუნველყო საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიური განვითარების მხრივ გაუსწრო ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოს და სამრეწველო წარმოების დონით მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა, უკან ჩამოიტოვა ისეთი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნები, როგორიც არიან ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვები. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საბჭოთა კავშირში 1957 წლისათვის 30-ჯერ და მეტად გადიდდა, ხოლო 1940 წელთან შედარებით — თითქმის ოთხჯერ. ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ როგორც ომამდელ, ისევე ომისშემდგომ პერიოდში სოციალისტური მრეწველობა იზრდება ისეთი მაღალი ტემპებით, როგორიც არასდეს არ ყოფილა და არ არის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობამ ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, ავიდა უფრო მაღალ საფეხურზე. სოციალისტური მრეწველობა ვითარდება მაღალი ტემპებით თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ბაზაზე. ტექნიკურ პროგრესს მკაფიოდ მოწმობს თვალსაჩინო მიღწევები თანამედროვე მანქანების, ხელსაწყოების შექმნაში, სახალხო მეურნეობისათვის ელექტრონიკის გამოყენებაში, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში. საბჭოთა კავშირში უკვე სამი წელიწადია მუშაობს მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგური; ამას წინათ ამოშავდა მსოფლიოში უდიდესი ატომური მანქანა — სინქროფაზოტრონი. ეს ფაქტები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის კონსტრუქტორთა, მეცნიერთა, ინჟინერთა და მუშათა საყოველთაოდ აღიარებული წარმატებანი ავიამშენებლობასა და მთელ რიგ სხვა დარგებში, ცხადჰყოფენ, რომ საბჭოთა კავშირი, ჩვენი მეცნიერები, მრეწველობის მუშაკები მტკიცე ბრძოლას ეწევიან ტექნიკური პროგრესისათვის, თავიანთი წვლილი შეაქვთ მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე

(გაგრძელება)

საბჭოთა კავშირმა დიდი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ჩვენმა ინდუსტრიამ აღჭურვა სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანებით, რომლებიც ასრულებენ ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ბევრად უმსუბუქებენ შრომას კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ჩვენი ქვეყნის მინდვრებში ამჟამად მუშაობს 1 მილიონ 500 ათასზე მეტი ტრაქტორი (თხუთმეტძალიანზე გაანგარიშებით), 380 ათასამდე კომბაინი, ასეული ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენ სერიოზულად წავიწიეთ წინ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებაში. მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ფართობები. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ მოუყვანია იმდენი პური, რამდენიც შარშან მოიყვანა. გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავალი, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების. განსაკუთრებით რძის წარმოება. სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირები, რომლებიც უკანასკნელ ხანს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონებში მოეწყო, იმ უდიდესი აღმავლობის დამახასიათებელი გამოხატულება იყო, რომელიც ამჟამად მიღწეულია კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სწამთ რა თავიანთი ძალები, სოფლის მშრომელები აჩაღებენ შეჯიბრებას ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებისათვის. ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოლდავეთისა და სხვა რესპუბლიკების მოწინავე კოლმეურნეობათა თაოსნობა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს უკვე წელს მიიღონ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 100 ცენტნერი ხორცი. რაც უფრო ფართოდ გაჩაღდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოძრაობა, მით უფრო სწრაფად მივაღწევთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს ჩვენს ქვეყანაში.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდა. ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1913 წლიდან 1956 წლამდე 13-ჯერ გადიდდა. ნაციონალური შემოსავლის ზრდის ასეთი ტემპები არ ახასიათებს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაციონალური შემოსავალი ამ ხნის მანძილზე საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გადიდდა უფრო ნაკლებად, ვიდრე 2-ჯერ, ინგლისსა და საფრანგეთში მხოლოდ 1,6-ჯერ. ამასთან სსრ კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი ნაწილდება მშრომელთა ინტერესებისათვის, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს ექსპლოატატორული კლასები ითვისებენ.

განსაკუთრებით დიდია საბჭოთა კავშირის წარმატებები კულტურული მშენებლობის დარგში. განახორციელა რა კულტურული რევოლუცია, ჩვენი ქვეყანა წერაკითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა გახდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა ახალი, ნამდვილად სახალხო ინტელიგენცია, მომზადებულია დიდად განათლებული კადრები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისათვის. თუ რევოლუციამდელ რუსეთში იყო 200 ათასზე ნაკლები სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით, ახლა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 6 მილიონზე მეტი ასეთი სპეციალისტი. ამჟამად ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 50 მილიონი კაცი; ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს.

ეს მოკლე ცნობები მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობაში.

მძლავრი სოციალისტური ეკონომიკის შექმნა სსრ კავშირში, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში კომუნისტური პარტიის ლენინური გენერალური ხაზის ზეიმია. **(ხანგრძლივი ტაში).**

II.

სახალხო მეურნეობის ზრდა და მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული ფორმების შემდგომი სრულყოფის საჭიროება

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის მართვის სწორ ორგანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მატერიალური წარმოების განუხრელი ზრდისათვის, სოციალისტური შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობისა და სახალხო მეურნეობაში რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის საკითხები მუდამ იყო პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში. სამეურნეო მშენებლობის პირველ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სახელმწიფოებრივი მართვის ისეთი ორგანოები, როგორიც არიან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და სახალხო მეურნეობის საბჭოები ადგილებზე, სახელმწიფო საგეგმო კომისია და ადგილობრივი საგეგმო ორგანოები, აღრიცხვისა და კონტროლის ორგანოები, რომლებმაც, როგორც ცნობილია, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

გასაგებია, რომ მართვის ფორმები და მეთოდები არ შეიძლება იყოს უცვლელი, გაყინული. ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, კადრების ზრდის კვალობაზე ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა ეკონომიური მშენებლობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ფორმები. მაგრამ ამასთან დაცული იყო დემოკრატიული ცენტრალიზმისა და სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის ძირითადი ლენინური პრინციპი.

სავსებით ბუნებრივია, რომ აღდგენითი პერიოდის ამოცანების გადაჭრიდან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელებაზე გადასვლისას, როცა წარმოიშვა საჭიროება, რომ მოკლე ვადებში შეგვექმნა მრეწველობის ახალი დარგები, საჭირო გახდა სამეურნეო მართვის ახალი ფორმებიც. შეიქმნა ცალკეული დარგების სპეციალიზებული სახალხო კომისარიატები, ხოლო შემდეგ სამინისტროები და უწყებები. სამეურნეო ხელმძღვანელობის ამ ფორმებმა საშუალება მოგვცა მთელი ღონისძიებანი მიგვემართა მძიმე მრეწველობის გადამწყვეტი დარგების შესაქმნელად, საჭირო ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა და წარმოების ორგანიზატორების მოსამზადებლად.

სახალხო მეურნეობის შემდგომ ზრდასა და მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში გრძელდებოდა მრეწველობისა და მშენებლობის სულ ახალი და ახალი დარგების შექმნის ტენდენცია, შემდგომი უფრო ღრმა სპეციალიზაციისა და ახალი დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების შექმნის ტენდენცია.

ახლა, როცა სახალხო მეურნეობა გიგანტურად გაიზარდა, მომწიფდა იმის სასიცოცხლო საჭიროება, რომ შეტანილ იქნას ცვლილებები მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციაში. შეიძლება ზოგმა თქვას: „რა საჭიროა მართვის რეორგანიზაციის განხორციელება, ჩვენი მრეწველობა ხომ კარგად მუშაობს, რაღაა კიდევ საჭირო?“. დიახ, ჩვენი მრეწველობა მართლაც კარგად ასრულებს სახელმწიფო გეგმებს, უდიდესი მიღწევები აქვს. ეს უდავოა. მაგრამ სწორედ მრეწველობის სწრაფი ზრდა და მშენებლობის უმაგალითო გაჭანება იწვევს მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საჭიროებას.

ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ასეთ ციფრებს: ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებზე ახლა 200 ათასზე მეტი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო და 100 ათასზე მეტი მშენებლობაა. სავსებით აშკარაა, რომ ძნელია განხორციელდეს ამ უამრავ საწარმოთა და მშენებლობათა კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა სამინისტროებიდან და უწყებებიდან.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ კვლავაც განუხრელად ვივლით წინ. პარტიის XX ყრილობამ დასახა უდიდესი ამოცანები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. ეს განვითარება უნდა ხორციელდებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე, წარმოების სპეციალიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე. სამეურნეო მშენებლობის იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიამ დასახა, მოითხოვს საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას. იბადება კანონიერი კითხვა: შეიძლება თუ არა წარმოების ახლანდელი უდიდესი მასშტაბებისა და მომავლის გრანდიოზული ამოცანების პირობებში დავტოვოთ ძველი ფორმები და კვლავაც ვიაროთ ტექნიკური, ეკონომიური და ადმინისტრაციული მართვის შემდგომი დაქუცმაცების გზით, ვქმნიდეთ ცენტრში ახალ სპეციალიზებულ სამინისტროებსა და სამმართველოებს? არა, არ შეიძლება. წარმოების გადიდებული მასშტაბები მოითხოვს სახალხო მეურნეობის კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფას. ეს უწინარეს ყოვლისა საჭიროა იმისათვის, რომ კიდევ მეტი გასაქანი მივცეთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი უდიდესი რეზერვები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რათა კიდევ უფრო ფართოდ განვავითაროთ მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა.

არ შეიძლება აგრეთვე არ ვხედავდეთ, რომ სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით წარმოების მართვის არსებული ფორმები წარმოშობს ბევრ ნაკლს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია უწყებრივი ბარიერები. უწყებრივი მიდგომა ასუსტებს, ხშირად კი არღვევს ნორმალურ საწარმოო ურთიერთობას სხვადასხვა სამინისტროების საწარმოთა შორის, რომლებიც ერთსა და იმავე ქალაქში ან ეკონომიურ რაიონში მდებარეობენ. ახლანდელი სტრუქტურის დროს, როცა მართვა ცენტრიდან ვერტიკალით ხორციელდება, მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა დიდი ხნით ფერხდება.

სახალხო მეურნეობაში არის ბევრი მოწყობილობა, რომელიც საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამო ყოველთვის როდია რაციონალურად გამოყენებული. საწარმოთა საანგარიშგებო ცნობებს მიხედვით ზედმეტი ლითონსაჭრელი ჩარხების რაოდენობა 25 ათასს აღემატება. მთელ რიგ საწარმოებში არის აგრეთვე ზედმეტი ელექტროძრავები, კომპრესორები, ტუმბოები, ორთქლის ქვაბები, ლოკომობილები, დიზელები და სხვა მოწყობილობა, მაშინ როცა ბევრ საწარმოს, რომელიც ხშირად გვერდით იმყოფება, ესაჭიროება ასეთი მოწყობილობა და შეუძლია წარმატებით გამოიყენოს იგი. აი სწორედ ამაზე ამბობენ ხალხში „არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო“.

დიდი ბოროტება, რომელსაც უწყებრიობა წარმოშობს, არის არარაციონალური ტვირთზიდვა, რაზედაც ბევრი ითქვა მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე, პრესაში გამოქვეყნებულ გამოსვლებში. ზოგიერთ უწყებას ათასობით კილომეტრი სიშორიდან მოაქვს თავისი საწარმოებისათვის სხვადასხვა ნაკეთობა და საშენი მასალები, ხოლო ამავე დროს სხვა უწყებებს ამ რაიონებიდან იქით მიაქვთ ასეთივე საჭირელი და ნაკეთობანი.

მოვიყვან ასეთ მაგალითს. შარშან მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ კარელიიდან კრასნოიარსკის მხარეში შეზიდა დაახლოებით 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ასაწყობი სახლები. ბევრი ასაწყობი სახლი შეზიდა კრასნოიარსკში მშენებლობის სამინისტრომაც კიროვის ოლქიდან. ამავე დროს სატყეო მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს კრასნოიარსკის მხარიდან სხვა რაიონებში გაჰქონდათ 170 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ასაწყობი სახლების დეტალები. წელსაც იმ სამინისტროების ორგანიზაციებს, რომლებსაც მინისტრები ამხ. რაიზერი და ამხ. დიგაი მეთაურობენ, კვლავაც შეაქვთ ასაწყობი სახლები კრასნოიარსკის მხარეში, ხოლო სამინისტროებს, რომლებსაც ამხ. ორლოვი და ამხ. კორტუნოვი ხელმძღვანელობენ, კრასნოიარსკიდან სახლები გააქვთ ცენტრალურ რაიონებში.

ეს მოგვაგონებს სურათს ოსტროვსკის პიესიდან „ტყე“. გახსოვთ დიალოგი ორი მსახიობის — სჩასტლივცევის და ნესჩასტლივცევისა, რომლებიც გზაში შეხვდნენ ერთმანეთს:

— საით და საიდან? — ეკითხება ნესჩასტლივცევი.

— ვოლგოგდიან ქერჩში, გენადი დემიანოვიჩ. თქვენ?

— ქერჩიდან ვოლგოგდაში.

ასეა ამ შემთხვევაშიც:

— საით და საიდან ეზიდებით ასაწყობ სახლებს? — ეკითხება ერთი მინისტრი მეორეს.

— ცენტრალური რაიონებიდან კრასნოიარსკის მხარეში. თქვენ?

— კრასნოიარსკიდან ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ყოველივე ეს უწყებრივი დაქსაქსულობის შედეგია. არარაციონალური ტვირთზიდვა სახელმწიფოს ყოველწლიურად არა ერთი ასეული მილიონი მანეთი უჯდება. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ არასაჭირო ტვირთზიდვა, რასაც დიდი ეკონომიური ეფექტი მოჰყვება.

ავიღოთ შემდეგ ისეთი საკითხი, როგორიც არის გამოყენება საავტომობილო ტრანსპორტისა, რომელიც უდიდესი მოცულობის ტვირთზიდვას ახორციელებს. მარტო საშენი მასალებისა და ტვირთების გადაზიდვა მშენებლობისათვის სახელმწიფოს ყოველწლიურად 10 მილიარდი მანეთი უჯდება. მაგრამ საავტომობილო პარკი გამოყენებულია არადამაკმაყოფილებლად, რადგან იგი დაქსაქსულია სხვადასხვა უწყებათა ათასობით პატარა გარაჟსა და მეურნეობაში. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არიან ლენინგრადი, გორკი, დონის როსტოვი, სტალინგრადი, ჩელიაბინსკი, კიევი, ხარკოვი, ავტომეურნეობათა 67 პროცენტს ერთი — ოთხი ავტომობილი აქვს. ავტოტრანსპორტის ასეთი დაქსაქსულობის გამო სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის. წვრილი საავტომობილო მეურნეობების გამსხვილება საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ დიდი სახსრები. მაგალითად, იმის შედეგად, რომ გამოყენებულ იქნა ავტოტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვა, მარტო მოსკოვში ეკონომია 1956 წელს 500 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვში უკვე დამთავრებული იყოს მუშაობა ტვირთზიდვის ცენტრალიზაციისათვის. ჯერ კიდევ ბევრია წვრილი ავტომეურნეობანი. ამიტომ საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა ავტომეურნეობათა გამსხვილებისა და ტვირთზიდვის ცენტრალიზაციისათვის, აგრეთვე მეტი რაოდენობით შევქმნათ სატვირთო ტაქსმოტორების გარაჟები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ორგანიზაციებს მათი შეკვეთებით.

უწყებრივი დაქსაქსულობა ცუდ გავლენას ახდენს ჩვენში ისეთ საკითხზეც, როგორიც ენერგეტიკის მეურნეობაა. სამინისტროები და უწყებები მთელ რიგ შემთხვევებში ცდილობდნენ აეშენებინათ დამოუკიდებელი პატარა ელექტროსადგურები, ეს კი ძალიან ხშირად ეკონომიურად ხელსაყრელი არ იყო. ამჟამად თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის 70 პროცენტს იძლევიან ელექტროსადგურების სამინისტროს საწარმოები, ხოლო დანარჩენ 30 პროცენტს — მრავალი ათასი უწყებრივი ელექტროსადგური. ეს პატარა უწყებრივი ელექტროსადგურები მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებად ეკონომიურია. თუ ელექტროსადგურთა სამინისტროს ელექტროსადგურებში ერთ გამომუშავებულ კილოვატსაათზე სათბობის ხვედრითი ხარჯი 1956 წელს შეადგენდა 463 გრამს, ყველა სხვა სამინისტროსა და უწყების ელექტროსადგურებში ეს ხარჯი შეადგენს 680 გრამს, ანუ თითქმის ერთნახევარჯერ მეტია. გამოანგარიშებულია, რომ ამის შედეგად უწყებრივ ელექტროსადგურებში სათბობის გადახარჯვა ერთ წელზე გაანგარიშებით 13 მილიონ ტონა ქვანახშირს აღემატება.

სამინისტროთა და უწყებათა შორის სამშენებლო ორგანიზაციების დაქსაქსულობა ბევრად ამცირებს ჩვენს შესაძლებლობებს მშენებლობაში. რა ეფექტიან მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ერთსა და იმავე ქალაქში სამშენებლო მუშაობას აწარმოებს სხვადასხვა უწყებათა მრავალი მცირეძალოვანი სამშენებლო ორგანიზაცია! ამავე დროს თვითეული სამშენებლო ორგანიზაცია ქმნის თავის საწარმოო ბაზას, სოკოსავით მრავლდება კანტორები, დამხმარე საწარმოები, მომარაგების საწყობები და ა. შ. ასეთი სურათი შეიძლება ვნახოთ თითქმის ყოველ ქალაქში, ყოველ ოლქში. ამის შედეგად იქსაქსება საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები, ჭიანურდება მშენებლობის ვადები. სამშენებლო მექანიზმები და ტრანსპორტი ცუდად არის გამოყენებული, იზრდება ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის შესანახი ხარჯები და საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს იწვევს სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების გადიდებას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული პრინციპით შექმნილი გამსხვილებული სამშენებლო ორგანიზაციები საშუალებას გვაძლევენ მნიშვნელოვანწილად აღმოვფხვრათ ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი და მკვეთრად გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაგალითად, 1954 წელს გაერთიანდა მოსკოვის საბჭოსა და სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციები და მათ ბაზაზე შეიქმნა მოსკოვის მშენებლობის მთავარი სამმართველო. როცა ეს ღონისძიება მზადდებოდა, ბევრი იყო აპეტიკოსი, რომლებიც ფიქრობდნენ, ასეთი რეორგანიზაცია მშენებლობის გაუარესებას გამოიწვევსო. მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? 1956 წელს 1953 წელთან შედარებით იმ სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც მოსკოვის მშენებლობის მთავარ სამმართველოში გაერთიანებულმა სამშენებლო ორგანიზაციებმა შეასრულეს, გადიდდა 30 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის რაოდენობა — 56 პროცენტით, ერთი მუშის გამომუშავება გაიზარდა 47 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტიური თვითღირებულება შემცირდა 18 პროცენტით. თუ გამსხვილებამდე სამშენებლო ორგანიზაციებს წლიურადში ჰქონდათ 232 მილიონი მანეთი ზარალი, 1956 წელს მოსკოვის მშენებლობის მთავარმა სამმართველომ მიიღო 114 მილიონი მანეთი მოგება.

მე მოვიყვანე მხოლოდ ცალკეული ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ გვიშლის ხელს უწყებრიობა იმაში, რომ მთლიანად გამოვიყენოთ მატერიალური და ტექნიკური რესურსები წარმოების განვითარების ინტერესებისათვის. საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო, რამდენად მომწიფდა ის საკითხი, რომ აღმოიფხვრას უწყებრივი მიდგომა მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ხელით განამტკიცებენ საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას. თქვენ მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე ძნელი პრობლემა იყო კადრების პრობლემა. რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებში მუშაობდნენ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომისტთა კადრები, რომლებიც ძველმა რეჟიმმა დატოვა. ამ სპეციალისტების ერთი ნაწილი განწყობილი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ცდილობდა ხელი შეეშალა სოციალისტური მშენებლობისათვის.

პარტია და მთავრობა, ფართო მასშტაბით აწყობდნენ რა სპეციალისტების მომზადებას მეურნეობის ყველა დარგისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ინჟინერ-ტექნიკური კადრების შექმნას. თუ 1928 წელს ჩვენ გვყავდა სულ 98 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, ახლა გვყავს დაახლოებით 1 მილიონ 800 ათასი. ჩვენს ქვეყანას ახლა კვალიფიციური კადრების უდიდესი ძალები ჰყავს. მაგრამ მართვის ახლანდელი სტრუქტურის დროს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ნაწილი სამინისტროთა და უწყებათა აპარატებში მუშაობს და უშუალო მონაწილეობას ვერ იღებს წარმოებაში.

ამ უკანასკნელ წლებში გაწეულია დიდი მუშაობა მმართველობის აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შტატების ზედმეტობის ლიკვიდაციისათვის. მთლიანად მმართველობის, დამზადებისა და სხვა პერსონალის რიცხვი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შემცირებულ იქნა 900 ათასზე მეტი კაცით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოებაში გადავიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეურნეობის მართვის აპარატი ჯერ კიდევ დიდია.

მართვის არსებული სტრუქტურის დროს ბევრი იმ საკითხის გადაჭრას, რომლებსაც საწარმოები აყენებენ, დიდი დრო უნდება, მან უნდა გაიაროს უამრავი საფეხური და ინსტანცია. იმის გამო, რომ სამინისტროები და მთავარი სამმართველოები უწყებრივად გათიშული და დაშორებული არიან საწარმოებსა და მშენებლობებს, სამინისტროთა მუშაკები იძულებული არიან დიდი დრო მოანდომონ არასაჭირო მიმოწერას. სამინისტროებსა და მთავარ სამმართველოებში იწერება და ადგილებს ეგზავნება უამრავი ბრძანება, განკარგულება და ინსტრუქციები. ყოველი წვრილმანის გამო მიმოწერა იმართება. ეს კი ხალხს ბევრი ფული უჯდება.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს ბევრი ამ ნაკლის აღმოფხვრას, წარმოებასთან მიაახლოებს ხელმძღვანელობას, შესაძლებელს გახდის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ უფრო წარმატებით ბრძოლას. მაგრამ ჩვენ გულუბრყვილო ადამიანები არ უნდა ვიყოთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რეორგანიზაციის თვით ფაქტი ვერ აღმოფხვრის ბიუროკრატიზმს როგორც ასეთს, ბიუროკრატები არ გაქრებიან პირისაგან მიწისა. ამიტომ საჭიროა კი არ შევასუსტოთ, არამედ ბევრად უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა ყოველგვარი ბიუროკრატული დამახინჯების წინააღმდეგ. და ეს ბრძოლა მით უფრო წარმატებითი იქნება, რაც უფრო მეტად ჩაებმებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მშრომელთა ფართო მასები, ყველა ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მმართველობის აპარატის მიახლოება მასებთან შესაძლებლობას მისცემს მასებს მეტი ზემოქმედება მოახდინონ მმართველობის აპარატზე.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ და გავამარტივოთ აპარატი, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სპეციალისტთა გამოყენებაში, მმართველობისა და მომსახურების აპარატიდან განთავისუფლებული ადამიანები გადავიყვანოთ საწარმოებში და მშენებლობებზე, იქ, სადაც იქმნება მატერიალური ფასეულობანი.

სამინისტროთა და უწყებათა კოლექტივებში ამ მოხსენების თეზისების განხილვამ დაგვანახვა, რომ ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ეკონომისტთა და სამინისტროების სხვა მუშაკთა უდიდეს უმრავლესობას სწორად აქვს შეგნებული მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სრულყოფის მთელი მნიშვნელობა და საჭიროება. ბევრი მათგანი კრებებზე და პრესაში თავის გამოხვლებში აღნიშნავდა, რომ მართვის გარდაქმნა დადებით როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების საქმეში. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი მუშაკი ესწრაფვის დაუბრუნდეს წარმოებაში ცოცხალ შემოქმედებითს სამუშაოს. ამოცანა ის არის, სწორად გამოვიყენოთ სამინისტროთა აპარატებიდან განთავისუფლებული ადამიანები.

უნდა ითქვას, რომ მეტი წილი ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც რეორგანიზაციის შედეგად სამინისტროებიდან და უწყებებიდან თავისუფლდებიან, საუკეთესო მუშაკები არიან. ისინი თავის დროზე სამინისტროებში დააწინაურეს, როგორც საუკეთესო მუშაკები, ამიტომ საჭიროა გამოვიჩინოთ ზრუნვა ამ ადამიანებისათვის, მოვაწყოთ ისინი სამუშაოზე მათი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ისეთ ფორმებს, რომელთა პირობებშიც კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა ადგილებზე, ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში უფრო სრულად იქნება შეხამებული ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისის ზუსტად დაცვასთან მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით.

III.

მივუახლოოთ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანოები საწარმოებსა და მშენებლობებს

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როგორც უკვე ითქვა, მოითხოვენ იმას, რომ მრეწველობისა და მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ადგილობრივ, უფრო ახლო საწარმოებთან და მშენებლობებთან. ამის განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით სახალხო მეურნეობის მართვიდან გადავიდეთ მართვაზე, რომელიც აგებული იქნება ტერიტორიული ნიშნით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ასეთი მართვის ორგანიზაციული ფორმა უნდა გახდეს სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელიც საჭიროა შეიქმნას ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში.

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი სამეურნეო მშენებლობის მართვის ორგანოებს. იგი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის კვალობაზე სახალხო მეურნეობის საბჭოების როლი განუწყვეტლივ გაიზრდება, რომ სწორედ სახალხო მეურნეობის მმართველობის ამ აპარატს უწერია გაიზარდოს, განვითარდეს და განმტკიცდეს, მოიცვას ორგანიზებული საზოგადოების მთელი უმთავრესი საქმიანობა.

როცა სახავენ სახალხო მეურნეობის საბჭოების მეშვეობით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემოღებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ითვალისწინებენ იმას, რომ ახლა ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რათა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა გარდავქმნათ ტერიტორიული პრინციპით. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი საწარმოო-ტექნიკური ბაზა. აღიზარდნენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები, ბევრად გაიზარდა მუშა-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე

(გაგრძელება)

თა კლასის რიცხობრივი შემადგენლობა, განუზომლად ამაღლდა მისი კულტურულ-ტექნიკური დონე. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაფართოოთ ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების უფლებები, ავამაღლოთ მათი პასუხისმგებლობა ეკონომიკის განვითარებისათვის, უფრო ფართოდ ჩავაბათ მშრომელები სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

საყოველთაო-სახალხო განხილვამ გვიჩვენა, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა ერთსულოვნად მოიწონეს წინადადება — შეიქმნას სახალხო მეურნეობის საბჭოები, როგორც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანოები ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში.

ითვალისწინებენ რა ამას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესიის განსახილველად შემოაქვთ წინადადებანი შეიქმნას სახალხო მეურნეობის საბჭოები, ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს ან გარდაიქმნას არსებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროები და უწყებები. იმ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების სია, რომელთა გაუქმება ან რეორგანიზაცია გათვალისწინებულია, მოყვანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონის პროექტში, დეპუტატებს დაურიგდათ აგრეთვე პროექტი შესაბამისი შესწორებებისა სსრ კავშირის კონსტიტუციისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უნდა განსაზღვროს სამინისტროთა გაუქმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელების ვადები და წესი.

ამჟამად გვესახება ისეთი, ჩვენი აზრით, ყველაზე რაციონალური წინადადებანი, რომლებიც წამოყენებულია მიმდინარე სესიის განსახილველად.

სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროებიდან რჩება: საავიაციო მრეწველობის სამინისტრო, გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო, რადიოტექნიკური მრეწველობის სამინისტრო, ქიმიური მრეწველობის სამინისტრო, საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო. წინადადებაა თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო გაერთიანებულ იქნას საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან, ელექტროსადგურთა სამინისტრო — ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროსთან.

ჩამოთვლილი სამინისტრობი უნდა დავტოვოთ, რათა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელების დროს მოვახდინოთ უფრო გეგმაზომიერი გადასვლა ახლებურ ხელმძღვანელობაზე, არ შევასუსტოთ ცენტრალიზებული კონტროლი ჩვენი ინდუსტრიის ამ დარგების განვითარებისადმი. მაგრამ ეს სამინისტროები საჭიროა ძირეულად გარდაიქმნას. მათ უნდა დაგეგმონ მრეწველობის შესაბამისი დარგების განვითარება, უზრუნველყონ მათი წარმოების ჯეროვანი ტექნიკური დონე, აგრეთვე შეადგინონ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმები და კონტროლი გაუწიონ მათს შესრულებას. ეს სამინისტროები უნდა გავათავისუფლოთ შესაბამისი საწარმოების უშუალო მართვისაგან. ამასთან დაკავშირებით მათი ცენტრალური აპარატები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

უნდა შევეხოთ მრეწველობის ისეთი დარგების ხელმძღვანელობას, როგორიც არის ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია. ამ დარგების საწარმოები განლაგებულია უმთავრესად რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის, ყაზახეთის და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში. ამიტომ საჭირო არ არის გვქონდეს საერთო-საკავშირო სამინისტროები აღნიშნულ დარგებში. მიზანშეწონილია მათს ხელმძღვანელობას თავი მოვუყაროთ ეკონომიური რაიონებისა და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებში.

კანონის პროექტში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ, გათვალისწინებულია მთელი რიგი რესპუბლიკური სამინისტროების შექმნა. ნავარაუდევია რუსეთის სფს რესპუბლიკაში გვექნეს შავი მეტალურგიის, ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტროები, უკრაინის სს რესპუბლიკაში — შავი მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროები. რუსეთის სფს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში უნდა გვექნეს ნავთობის მრეწველობის სამინისტროები. გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკასა და უკრაინის სს რესპუბლიკაში გვექნეს ზოგიერთი დარგის მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროები, აგრეთვე სატყეო მრეწველობის სამინისტროები და ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროები.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკური სამინისტროების შექმნის საკითხში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. მაგალითად, უკრაინელი ამხანაგების აზრით საჭირო არ არის გვექნეს ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიისა და სხვა რესპუბლიკური სამინისტროები, რადგან ამ დარგების ხელმძღვანელობას ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ უშუალოდ სახალხო მეურნეობის საბჭოები, ხოლო დაგეგმვას — რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისია და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია. რუსეთის ფედერაციის ზოგიერთი მუშაკი აგრეთვე უარყოფითად ეკიდება რესპუბლიკური სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროების შექმნას რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

განიხილავენ რა მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის საკითხს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამ წინადადებათა შესახებაც და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

თუ უმაღლესი საბჭო საჭიროდ ცნობს შეიქმნას რესპუბლიკური სამინისტროები, ამ სამინისტროების ფუნქციები ისეთივე უნდა იქნეს, როგორც ეს დასახულია საკავშირო სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროებისათვის, რომლებიც რჩება. ამასთან უნდა მოვიფიქროთ, თუ სად უნდა იყვნენ რესპუბლიკური სამინისტროები. ჩანს, მიზანშეწონილია ეს სამინისტროები განვალაგოთ წარმოებასთან უფრო ახლო. მაგალითად, არა გვგონია საჭირო იყოს, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო მოსკოვში იმყოფებოდეს — უფრო მოსახერხებელია იგი იქნეს კემეროვოში; რუსეთის სფს რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო ალბათ უმჯობესია იყოს უფაში ან ყაზანში; რუსეთის სფს რესპუბლიკის შავი მეტალურგიის სამინისტრო — ურალის ერთ-ერთ ქალაქში. (ტაში).

როგორც დატოვებული სამინისტროების, ისე გაუქმებული სამინისტროების სამრეწველო საწარმოები და მშენებლობები გადადის სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში, რომლებიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ ამ საწარმოებს შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოების მეშვეობით.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შეცვლასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები საჭიროა გადაიჭრას სსრ კავშირის უმაღლესი სესიაზე, ბევრ ორგანიზაციულ საკითხს კი გადაჭრიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობები.

მართვის გარდასაქმნელად მუშაობა არ უნდა გავაჭიანუროთ. ეს მუშაობა უნდა შევასრულოთ ამა წლის მაის-ივნისის განმავლობაში.

რა პრინციპი უნდა დავუდოთ საფუძვლად ეკონომიურ დარაიონებას სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნის დროს? ამ საკითხზე რამდენიმე სხვადასხვა თვალსაზრისი გამოითქვა.

საყოველთაო-სახალხო განხილვის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თეზისებში წამოყენებულ წინადადებას, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები შეიქმნას ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში არსებული ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად და ოლქის, მხარის, რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების დონის გათვალისწინებით.

მხარეებისა და ოლქების მნიშვნელოვან ნაწილს, მოკავშირე რესპუბლიკებზე რომ აღარა ვთქვათ რა, აქვს განვითარებული მრეწველობა და წარმოადგენს საკმაოდ მსხვილ ეკონომიურ რაიონებს. მაგრამ სრულიადაც არ არის სავალდებულო შეიქმნას სახალხო მეურნეობის საბჭო თვითეულ ოლქში, როგორც ამას მოითხოვდა ზოგიერთი ამხანაგი. ცნობილია, რომ ოლქების ნაწილს ამჟამად ჯერ კიდევ არა აქვს იმდენად განვითარებული მრეწველობა, რომ ამ ოლქებში შეიქმნას მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანოები სახალხო მეურნეობის საბჭოების სახით. ამიტომ სწორი გადაწყვეტილება იქნება, რომ ასეთ ოლქებში არსებული სამრეწველო საწარმოები და მშენებლობები დაექვემდებაროს მეზობელი მხარეებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოებს.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოდასავლეთის რაიონები. ლენინგრადის მეზობელ ნოვგოროდისა და პსკოვის ოლქებს არა აქვთ საკმაოდ განვითარებული მრეწველობა, ამიტომ საჭირო არ არის, რომ ამ ოლქებში შეიქმნას სახალხო მეურნეობის საბჭოები, არამედ მიზანშეწონილია მათს ტერიტორიაზე არსებული საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო საწარმოები და მშენებლობები დაექვემდებაროს ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა ტერიტორია დიდია და სამრეწველო საწარმოები გაფანტულია, როგორც, მაგალითად, იაკუტიის და კომის ავტონომიურ რესპუბლიკებში, მაგადანის ოლქში, სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა გამართლებულია, თუმცა იქ მრეწველობა და მშენებლობა შედარებით ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე სხვა ოლქებში.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის განხორციელების დროს ზოგან შეიძლება მიზანშეწონილი იქნეს ოლქების გაერთიანება, და, როგორც ჩანს, ეს გაერთიანება უნდა მოვახდინოთ, მაგრამ იმ პირობით, თუ საკითხი ასეთი გაერთიანების შესახებ საკმაოდ დამუშავებული და ეკონომიურად დასაბუთებულია. როგორც ცნობილია, ამას წინათ გორკელებმა და არზამასელებმა წამოაყენეს წინადადება მათი ოლქების შეერთების შესახებ, და ეს წინადადება მიღებულია. შესაძლოა გამოითქვას სხვა ამგვარი წინადადებანი, მაგრამ ახლა ამან არ უნდა გაგვიტაცოს, რომ არ გავართულოთ გადასვლა მართვის ახალ ფორმებზე.

საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში ცალკეულ ამხანაგებს შემოჰქონდათ წინადადებები, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები შეიქმნას მსხვილ ეკონომიურ რაიონებში, რომლებშიც შედის რამდენიმე ოლქი, მხარე და ავტონომიური რესპუბლიკა. ირკუტსკის საოლქო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სილინსკემ სტატიაში, რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა, წამოაყენა წინადადება, რომ აღმოსავლეთ ციმბირის ერთი ეკონომიური რაიონის ფარგლებში გაერთიანდეს იაკუტიისა და ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური რესპუბლიკები, კრასნოიარსკის მხარე, ირკუტსკისა და ჩიტის ოლქები.

მთელი აღმოსავლეთ ციმბირისათვის ერთიანი ასეთი დიდი ეკონომიური რაიონის შექმნის წინააღმდეგ სამართლიანად გამოვიდნენ ამხანაგები კრასნოიარსკის მხარიდან და იაკუტიის ასს რესპუბლიკიდან. მაგალითად, ამხანაგები ვოზნესენსკი, კირენსკი, პროზოროვი, აფონსკი, ბელიაევი, კორჩაგინი, რიაბოკონი და სილიჩევი თავიანთ სტატიაში „ამხ. სილინსკი მართალი არ არის“ წერდნენ, რომ უნდა უარვყოთ, როგორც მიზანშეუწონელი, წინადადება ისეთი ეკონომიური რაიონის შექმნის შესახებ, რომელშიც შევა 7 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ესე იგი საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიის დაახლოებით ერთი მესამედი.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს დაურიგდათ მასალები, რომლებშიც მოყვანილია ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების მიერ შემუშავებული სია ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონებისა, სადაც დასახულია სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა. ეს წინადადებები გათვალისწინებულია შეიქმნას 92 სახალხო მეურნეობის საბჭო, აქედან რუსეთის სფს რესპუბლიკაში — 68, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 11, დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში — თითო-თითო სახალხო მეურნეობის საბჭო. როგორც ჩანს, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონებისა და ამ რაიონებში სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მიზანშეწონილია დავალოს მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს იმ პირობით, რომ ამ გადაწყვეტილებებს შემდეგ ამტკიცებდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორად განვსაზღვროთ სახალხო მეურნეობის საბჭოების მოქმედების სფერო და გადავჭრათ ის საკითხი, თუ რა საწარმოები უნდა გადაეცეს სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში. როგორც ცნობილია, თეზისებში დასმული იყო საკითხი დაქვემდებარების ფორმების მიხედვით მრეწველობის დაყოფის არსებული წესის გადასინჯვის შესახებ, გამოითქვა წინადადება, რომ საკავშირო დაქვემდებარების ყველა საწარმო და მშენებლობა გადაცემულ იქნას საკავშირო-რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს. მრეწველობა ახლა დაყოფილია საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ მრეწველობად; ნაცვლად ამისა საჭიროა მომავალში დაწესდეს დაქვემდებარების ორი ფორმა: საკავშირო-რესპუბლიკური მრეწველობა, რომელიც შევა სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში, და ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭოების დაქვემდებარებაში ან ადგილობრივ დაქვემდებარებაში გადაცემულ იქნას აგრეთვე ის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან ეგრეთწოდებული არასამრეწველო სამინისტროების გამგებლობაში, მაგალითად, გზათა სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს მრეწველობა და სხვ. ამასთან საწარმოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან არასამრეწველო სამინისტროების საქმიანობასთან, როგორც, მაგალითად, გზათა სამინისტროს სარემონტო ქარხნები, შეიძლება დავტოვოთ შესაბამისი სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სამინისტროს ორმაგ დაქვემდებარებაში.

მართვის ახალი სტრუქტურის შემუშავების დროს რესპუბლიკებისა და ოლქების ზოგიერთ ხელმძღვანელს შემოჰქონდა წინადადებები, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში გადაცემულ იქნას ადგილობრივი მრეწველობისა და თვით სარეწაო კოოპერაციის ყველა საწარმო. შეგვიძლია თუ არა მივიღოთ ასეთი წინადადება? იმ ამხანაგების უმეტესობას, რომლებმაც აზრი გამოთქვეს ამ საკითხზე, მიაჩნია, რომ თუ ჩვენ ამ გზას დავადექით და სახალხო მეურნეობის საბჭოებს დავუქვემდებარეთ ყველა წვრილი საწარმო, გარდუვალად შევანელებთ სახალხო მეურნეობის საბჭოების ყურადღებას მრეწველობის გადამწყვეტი დარგების საწარმოთა განვითარებისადმი.

საჭიროა შევეხოთ აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების ურთიერთობას. თეზისების განხილვის დროს ზოგიერთმა ამხანაგმა წამოაყენა წინადადება, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები დაუქვემდებარდეს მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასკომებს. ამჟამად ეს მიზანშეწონილი არ იქნებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობა შესამჩნევად გადიდდა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა ნაწილის ადგილობრივი საბჭოებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც დგას ადგილობრივი საბჭოების წინაშე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელმძღვანელობაში. თავისთავად ცხადია, რომ სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები განზე არ უნდა გაუდგნენ სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობას. ისინი მოვალენი არიან იზრუნონ იმაზე, რომ დამყარდეს საჭირო ურთიერთობა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა და საკავშირო-რესპუბლიკური მრეწველობის იმ საწარმოთა შორის, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოებს ექვემდებარება, მოისმინონ სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებები და ამით მონაწილეობა მიიღონ თავიანთი მხარის ან ოლქის ტერიტორიაზე სამეურნეო მშენებლობის მართვაში, აქტიური ზეგავლენა მოახდინონ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობაზე.

მხარეების, ოლქებისა და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოები უშუალოდ მართავენ მათდამი დაქვემდებარებულ სამეურნეო გაერთიანებებს, საწარმოებსა და მშენებლობებს, ამასთან იხელმძღვანელებენ სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმის დავალებებით. ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის საბჭოებს ენიჭებათ ყველა უფლება, რომლებიც საჭიროა სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად, და ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესრულებისათვის და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და მშენებლობათა საქმიანობის ეკონომიური შედეგებისათვის. აქედან გამოდის, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები ვალდებული არიან ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაონ და განახორციელონ წარმოებისა და მშენებლობის პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები, უზრუნველყონ საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლება, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ურთიერთმიწოდების გეგმების შედგენა და რეალიზაცია როგორც ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ამხანაგო დეპუტატებო! ცალკე უნდა შევეხოთ მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების საკითხებს.

თანამედროვე პირობებში, როცა განსაკუთრებული სიმწვავით დგას ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის ამოცანები, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ამოცანების სწორად დადაჭრას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. თუ არა სპეციალიზაცია და კოოპერირება მრეწველობაში, თუ არა წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით გადავჭრათ სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ტექნიკის პროგრესმა უნდა გამოიწვიოს წარმოების სხვადასხვა ნაწილის სპეციალიზაცია და რომ ეს სპეციალიზაცია დაუსრულებელია სწორედ ისე, როგორც ტექნიკის განვითარება.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლის საკითხის განხილვისას ცალკეულმა ამხანაგებმა შიში გამოთქვეს, რომ ბევრი სპეციალიზებული სამინისტროს გაუქმებით თითქოს ვკარგავთ სპეციალიზაციას, გადავდიგართ მრეწველობის საერთო, ასე ვთქვათ, უნივერსალურ მართვაზე, ვინაიდან ამა თუ იმ ეკონომიურ რაიონში არსებულ ყველა საწარმოს სახალხო მეურნეობის საბჭოები განაგებენ.

რაკი არის ამგვარი შიში, მოდით განვიხილოთ, აქვს თუ არა მას საფუძველი. ამჟამად არსებული სამინისტროები, როგორც წესი, მართავენ მრეწველობის რამდენიმე დარგის საწარმოთა მუშაობას. მაგალითად, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს აქვს საკუთრივ ავტომობილების წარმოება, რომელსაც თავის მხრივ აქვს მოტორების, თვლების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობის დამთავრებული წარმოება. სამინისტროში შედის აგრეთვე მოტოციკლეტის მრეწველობა, საკისრის მრეწველობა და საავტომობილო ელექტრომოწყობილობის საწარმოები. ამ დარგებს აერთიანებენ სამინისტროს ფუნქციონალური განყოფილებანი და მთავარი სამმართველოები. ამრიგად, ქარხანას ხელმძღვანელობენ მთავარ სამმართველოთა აპარატი და სამინისტროს აპარატი. ეს აპარატი აბანდებს მრავალ სპეციალისტს, ინჟინერს, ტექნიკოსს, ეკონომისტს და გამოჰყავს ისინი მატერიალური წარმოების სფეროდან. იგივე აპარატი ხშირად კიდევაც ხელს უშლის მრეწველობაში შემდგომი სპეციალიზაციის განვითარებას. მართლაც, განყოფილებები და სამმართველოები, რომლებიც განაგებენ საავტომობილო ქარხნებს, წინააღმდეგი არიან, რომ მოტორის წარმოება დამოუკიდებელ წარმოებად გამოიყოს, რომ იგი საავტომობილო წარმოებას გამოეყოს. ისინი ამის წინააღმდეგი არიან, რადგან მათთვის უფრო მოსახერხებელია დაკომპლექტონ მზა პროდუქცია, რომელიც მთლიანად კეთდება მოცემული მთავარი სამმართველოს ქარხნებში. მაგრამ წარმოების ასეთი ორგანიზაცია ხომ საშუალებას არ გვაძლევს გამოვიყენოთ ყველაზე სრულყოფილი ტექნოლოგია მოტორების, თვლებისა და სხვა ნაკეთობის დამზადებისას, შევამციროთ მათი თვითღირებულება და უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდება. ცნობილია, მაგალითად, რომ საავიაციო მრეწველობაში მოტორის წარმოება არსებობს როგორც დამოუკიდებელი წარმოება. და ეს საკმაოდ ამართლებს თავის დანიშნულებას.

სამრეწველო სამინისტროები ცდილობენ თავიანთ საწარმოებში გააკეთონ ყველაფერი, ამასთან ბევრ ნაწარმს ისინი აკეთებენ ნახევრადშინამრეწველური წესით, ანგარიშს არ უწევენ სახსრებისა და მასალების უდიდეს დანაკარგს. საწარმოო კოოპერაციას უპირატესად შინაუწყებრივი ხასიათი აქვს და ჯერ კიდევ სულაც არ არის საკმარისი. ეკონომიურ რაიონებში სხვადასხვა სამინისტროების საწარმოთა შორის წარმოების კოოპერირება პრაქტიკულად ძალიან სუსტად ხორციელდება, ეს კი, ბუნებრივია, აფერხებს იმას, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ საწარმოთა საწარმოო შესაძლებლობანი.

ბევრი სამინისტროს მუშაკი ერიდება სპეციალიზაციასა და ფართო კოოპერირებას, რამდენადაც ეს დაკავშირებულია წარმოების ორგანიზაციის დამკვიდრებული ფორმების გარკვეულ მსხვრევასთან, ცდილობს არსებულ ქარხნებში ყველაფერი ისე დატოვოს, როგორც ახლა არის, და ძველებურად იმუშაოს.

თვითეულ რესპუბლიკაში, სამრეწველო ოლქში და ცალკეულ სამრეწველო ქალაქებში არის ბევრი სამრეწველო საწარმო, რომლებიც მრავალ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროსა და უწყებას ექვემდებარება. რუსეთის ფედერაციაში, მაგალითად, სამრეწველო საწარმოები ექვემდებარება 84 სამინისტროსა და უწყებას, აქედან მოსკოვში — 80 სამინისტროსა და უწყებას, უკრაინის რესპუბლიკაში — 68 სამინისტროსა და უწყებას, ყაზახეთში — 53, თურქმენეთში — ნაკლებს, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგრამ მაინც 27 სამინისტროსა და უწყებას. ცხადია, როცა ამდენია სამინისტროები და უწყებები, ძალიან ძნელია განვახორციელოთ წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, რადგან ამას ხელს უშლის მრავალი სამინისტროსა და მთავარი სამმართველოს უწყებრივი ინტერესები.

უწყებრივი ბარიერები ზოგჯერ პირდაპირ მახინჯ მოვლენებს წარმოშობს. ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ერთიმეორის გვერდით მდებარე საწარმოები ხშირად არსებობენ როგორც დამოუკიდებელი საწარმოები, რადგან ისინი ექვემდებარებიან ერთი და იმავე სამინისტროს სხვადასხვა მთავარ სამმართველოებს. მაგალითად, ნიჟნი ტაგილში ნოვი ტაგილის მეტალურგიული ქარხნის გვერდით უკანასკნელ დრამდე არსებობდნენ როგორც დამოუკიდებელი საწარმოები ცეცხლგამძლე მასალათა და კოქსქიმიური ქარხნები, რკინის სამადნეები, რომელთა პროდუქციასაც თითქმის მთლიანად იყენებს მეტალურგიული ქარხანა. მაგრამ ნოვი ტაგილის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ამ ქარხნებზე, რადგან ისინი დამოუკიდებელი იყვნენ და თანაც შედიოდნენ სხვა მთავარ სამმართველოებში. ასეთივე მდგომარეობაა უკრაინაშიც, სადაც მთელ რიგ შემთხვევებში ერთ ფართობზე განლაგებულია მეტალურგიული, კოქსქიმიური და ცეცხლგამძლე მასალათა ქარხნები, რომლებიც ერთი და იმავე სამინისტროს სხვადასხვა მთავარ სამმართველოს ექვემდებარებიან. ამ ქარხნების დირექტორები მთავარი სამმართველოების მაგალითისამებრ ცდილობენ თითქმის მონასტრის გალავნით გაემიჯნონ ერთიმეორეს. მაგალითად, ედანოვის კოქსქიმიური ქარხნის დირექტორი ამხ. მაქსიმოვი, იცავდა რა თავის „სუვერენობას“, ქარხანა „აზოვსტალს“ გამიჯნა 915 მეტრი სიგრძისა და 2,5 მეტრი სიმაღლის წიდაბლოკის ღობით და ამ არასაჭირო წამოწყებაზე 200 ათასამდე მანეთი დახარჯა. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ან ავიღოთ ასეთი მაგალითი. მოსკოვის ოლქის ქალაქ ვოსკრესენსკში არის სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცემენტის ქარხანა. ამ ქარხნის ბაზაზე და მასთან საერთო ტერიტორიაზე აგებულია იმავე სამინისტროს აზბესტ-შიფერის ნაკეთობათა ქარხანა. ცემენტის ქარხანა გამოშვებულ ცემენტს აძლევს აზბესტ-შიფერის ნაკეთობათა ქარხანას, რომელიც აწარმოებს ცემენტის გადამუშავებას და უშვებს სასაქონლო ნაწარმს.

არსებითად ეს ერთი საწარმოა. მაგრამ შეხედეთ, როგორ ამახინჯებენ საწარმოებს ზოგიერთ უწყებაში დამკვიდრებული ბიუროკრატიული წესები. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში ეს ერთიანი საწარმოო ორგანიზმი ხელოვნურად გაჰყვეს ორ დამოუკიდებელ ქარხანად და დაუქვემდებარეს ორ სხვადასხვა მთავარ სამმართველოს: ცემენტის ქარხანა — ცემენტის მრეწველობის დასავლეთის მთავარ სამმართველოს, ხოლო აზბესტ-შიფერის ნაკეთობათა ქარხანა — აზბესტ-შიფერის მრეწველობის მთავარ სამმართველოს. ამან ის გამოიწვია, რომ გაჩნდა ორი დირექტორი, ორი მთავარი ინჟინერი, ორი დამოუკიდებელი ბუხჰალტერია, აგრეთვე სხვა განყოფილებანი, რომლებიც ერთიმეორეს იმეორებენ. ამავე დროს ქარხნები ერთ ტერიტორიაზეა, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ენერგეტიკული მეურნეობით, საერთო კომუნიკაციებით და ცემენტის ქარხნის პროდუქციის 85 პროცენტზე მეტი უშუალოდ ეძლევა აზბესტ-შიფერის ნაკეთობათა ქარხანას.

ორივე ქარხანა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, და ფაქტიურად ერთი საწარმოს ორმა დირექტორმა ვოსკრესენსკიდან უნდა მიმართოს მოსკოვს, რათა გადაიჭრას წარმოებასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი, მოსკოვში კი, სამინისტროში, ამ ქარხანას მესვეურობს ორი მთავარი სამმართველო, და, მაშასადამე, როცა მთავარ სამმართველოთა შორის უთანხმოება წარმოიშობა, საკითხი შეიძლება გადაჭრას მხოლოდ სამინისტროს ხელმძღვანელობამ.

კიდევ უფრო გასაოცარი მაგალითია მოსკოვის ელექტროქარხნის გაყოფა სამ სამინისტროს შორის. ამ საწარმოს ყოფილი საამქროები გადააქციეს ქარხნებად, შექმნეს რა სამი დამოუკიდებელი საქარხნო სამმართველო შესაბამისი შტატებით.

როცა შეიქმნება ეკონომიური რაიონები და მოეწყობა სახალხო მეურნეობის საბჭოები, გაუქმდება მრავალი სპეციალიზებული სამინისტრო და მთავარი სამმართველო, ჩვენ ერთბაშად მივიღებთ შესაძლებლობას განვახორციელოთ წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება უაღრესად ფართო მასშტაბით, თვითეულ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში ხომ ასობით საწარმოა და წარმოების მოცულობა ბევრ რაიონში მეტია, ვიდრე მთელი რიგი არსებული სამინისტროების წარმოების მოცულობა. ამ პირობებში წარმოების გონივრულად მოწყობილი სპეციალიზაცია და კოოპერირება სახალხო მეურნეობის საბჭოების საშუალებით დაგვეხმარება უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენს მეურნეობაში არსებული უდიდესი რეზერვები.

მაგალითისათვის ავიღოთ მოსკოვის საქალაქო ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონი. მარტო მოსკოვში არსებული მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი საწარმოები აწარმოებენ მეტ პროდუქციას, ვიდრე მანქანათმშენებლობის ოთხი სამინისტრო — ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო, მანქანათმშენებლობის სამინისტრო, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტრო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო. გათვალისწინებულია მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაეცეს სხვადასხვა დარგის 600 ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმო, რომლებმაც 1956 წელს აწარმოეს 55 მილიარდ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია.

ნავარაუდევია, რომ მოსკოვის ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადაცემულ იქნას

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე

(გაგრძელება)

593 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც 43 მილიარდი მანეთის პროდუქციას აწარმოებენ. ესეც რამდენიმე სამინისტროს პროდუქციას უდრის.

ავიღოთ ისეთი ოლქი, როგორიც კემეროვოს ოლქია. დასახულია კემეროვოს ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადაცემულ იქნას 254 სამრეწველო საწარმო, სადაც 253 ათასი მუშა მუშაობს და 13,3 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია მზადდება. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ყველა საწარმოში 259 ათასი მუშაა, და ამ სამინისტროს მთელი პროდუქცია 11 მილიარდ მანეთს შეადგენს. ამრიგად, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში იქნება საწარმოები, რომელთა პროდუქციის მოცულობა მეტია, ვიდრე ყველა იმ საწარმოსი, რომლებიც გაერთიანებულია სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროში.

კომის ასს რესპუბლიკაში სამრეწველო საწარმოები ექვემდებარება 30 სამინისტროსა და უწყებას. ზოგიერთ მათგანს აქვს თითო ან ორ-ორი საწარმო. ახალ პირობებში კომის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო გააერთიანებს 149 სამრეწველო საწარმოს, რომლებშიც 100 ათასი მუშა მუშაობს და 3,5 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია მზადდება. შედარებისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ყველა საწარმოში 65 ათასი მუშაა და ამ სამინისტროს საწარმოთა პროდუქცია შეადგენს 3,2 მილიარდ მანეთს, ესე იგი ნაკლებია, ვიდრე იმ საწარმოებში, რომლებსაც კომის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო გააერთიანებს.

ყოველივე ეს აგრეთვე იმას მოწმობს, თუ რამდენად გაიზარდა მრეწველობა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, როგორ გართულდა მეურნეობის ხელმძღვანელობა და რამდენად მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გადავიდეთ მრეწველობისა და მშენებლობის მართვაზე ტერიტორიული პრინციპით. ამ მიმართულებით მრეწველობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს წარმატებით გადავჭრათ მრეწველობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების საკითხები, უფრო სწრაფად გადავჭრათ მონათესავე საწარმოთა მიზანშეწონილი კომბინირების საკითხები.

გათვალისწინებულია, რომ მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის დროს თვითეულ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში დაცულ იქნება სპეციალიზაცია იმ გზით, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებში შეიქმნება სპეციალური სამმართველოები, ტრესტები ან განყოფილებები მრეწველობის ამა თუ იმ დარგის საწარმოთა არსებობის მიხედვით. მართვის ახალი ორგანიზაციის პირობებში სპეციალიზაცია არა თუ არ ირღვევა, არამედ, პირიქით, ძლიერდება. როგორ შეიძლება სხვანაირად იყოს, თუ სპეციალიზაციის საკითხებს ხელს მოჰკიდებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოები, სახელმწიფო საგეგმო კომისიები, თუ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ნაკრები დაგეგმვის საერთო განყოფილებათა გარდა, ექნება აგრეთვე სპეციალიზებული განყოფილებები, ქვეგანყოფილებები, ეყოლება მრეწველობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ამრიგად გააერთიანებს და წარმართავს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებას საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით სამეურნეო განვითარების გეგმების შესაბამისად. სწორედ ამ სპეციალიზებულმა განყოფილებებმა და ქვეგანყოფილებებმა უნდა შეიმუშაონ მრეწველობის დარგების განვითარების გეგმები და თვალყური ადევნონ ამ გეგმების შესრულებას. მრეწველობის დარგების განვითარების სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა, რომ სამინისტროების ძირითადი მუშაკების, ყველაზე მცოდნე სპეციალისტების, სამეურნეო და ხელმძღვანელი მუშაკების ჯგუფი გაიგზავნოს სამუშაოდ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

მაშასადამე, მართვის გარდაქმნის შედეგად შეიქმნება გაცილებით მეტი შესაძლებლობანი სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის როგორც ეკონომიურ რაიონებსა და რესპუბლიკებში, ისე მთელ სახალხო მეურნეობაში, შეიქმნება პირობები ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის, ჩვენი მეცნიერების მიღწევების უკეთ გამოყენებისათვის, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერული კადრების სწორი განაწილებისათვის, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ინსტიტუტების როლის ასამაღლებლად ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

თუ ზოგიერთი ამხანაგს ეშვი ებადება, შეიძლება თუ არა ახალი სტრუქტურის დროს უზრუნველყოფილ იქნას წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, ეს ეშვი, ეტყობა, იმის შედეგია, რომ კარგად არ ესმით გარდაქმნის არსი, ან იცავენ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის უკვე მოძველებულ ფორმებს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, რომლებსაც წარმოშობს უწყებრიობა, საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ მუშათა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა ძალები საბჭოთა ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარე იქნება ოპერატიულად უხელმძღვანელონ მოცემული ოლქის ან რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის განვითარებას და მტკიცედ დაიცვან სახელმწიფო დისციპლინა სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესრულებაში.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობა რომ უზრუნველვყოთ, სახალხო მეურნეობის საბჭოებთან მიზანშეწონილია შეიქმნას ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოები, რომლებშიც შევლენ თვალსაჩინო სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები და მოწინავეები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

გულდასმით უნდა მივუდგეთ სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატის მუშაკთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრას და არ დავუშვათ ზედმეტობა მმართველობის პერსონალის რიცხობრივ შემადგენლობაში. სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატი პატარა, მაგრამ კვალიფიციური უნდა იყოს.

თეზისების განხილვის დროს ბევრმა ამხანაგმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს საწარმოთა დირექტორების უფლებები, შემცირდეს საგეგმო მაჩვენებელთა რაოდენობა, რომლებიც დაწესებულია საწარმოებისა და მშენებლობებისათვის, მიეცეთ დირექტორებს მეტი დამოუკიდებლობა ტექნიკური, ფინანსური და სამეურნეო საკითხების გადაჭრაში. საჭიროა სერიოზულად ვიფიქროთ ამ საკითხებზე და გამოვნახოთ ყველაზე გონივრული გადაწყვეტა.

საჭიროა უფრო მოქნილად გარდავქმნათ მრეწველობის მართვა ეკონომიური რაიონების შიგნითაც. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი რაიონები, როგორიც არიან მოსკოვი, ურალის, ციმბირის, უკრაინის ოლქები, სადაც უდიდესი რაოდენობით მზადდება სამრეწველო პროდუქცია. საჭიროა დაწვრილებით გავეცნოთ ქარხნებს, სწორად გადავჭრათ საწარმოთა ტრესტირებისა და კომბინირების, იმ სპეციალიზაციის განვითარების საკითხი, რომელიც ეკონომიურად ხელსაყრელი და ტექნიკურად მიზანშეწონილია როგორც მოცემულ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში, ისე რესპუბლიკის ან სსრ კავშირის მასშტაბით, გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი და გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა წარმოებისადმი, ახალი ტექნიკის დანერგვისადმი, ახალი ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესების შემუშავებისადმი.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინადადებები წარმოების ორგანიზაციისა და რაციონალიზაციის შესახებ, ბოლოს, საშუალებას მოგვცემს მივუახლოვდეთ დიდი ხნის მომწიფებულ საკითხს წარმოების საინჟინერო, სამეურნეო და ადმინისტრაციული მართვის გამარტივებისა და გაუმჯობესების შესახებ. ახლა ამ საქმეში ბევრი ნაკლი გვაქვს.

განვიხილოთ, მაგალითად, საწარმოებში ტექნიკური კონტროლის სამსახურის ორგანიზაციის საკითხი. საამქროს უფროსსა და ოსტატს ახლა ბევრი კონტროლიორი ჰყავთ. იმისათვის, რომ ავამაღლოთ პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის და გავაიაფოთ წარმოება, უნდა გავადიდოთ იმ ადამიანების როლი, რომლებმაც პირველმა უნდა აგონ პასუხი პროდუქციის ხარისხისათვის, ოსტატისა და საამქროს უფროსის როლი. მუშა, ოსტატი, საამქროს უფროსი საუკეთესო კონტროლიორები არიან. მათ ყველა სხვაზე უკეთ იციან ლითონის, მასალის და ნაკეთობის ხარისხი. ისინი უნდა წავახალისოთ არა მარტო ნაკეთობის დამზადებაზე დახარჯული შრომის რაოდენობისათვის, არამედ პროდუქციის ხარისხისთვისაც. საწარმოებში სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიმღებთა დიდი ქსელია, რაც ყოველთვის როდია გამართლებული. გარდა ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა კონტროლიორებისა, პროდუქციის ზოგიერთ დამკვეთს საწარმოებში ჰყავს თავისი კონტროლიორების შტატი, რომლებიც იესეთ პროდუქციასაც კი იბარებენ, როგორიც ჰალსტუხებია. აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კონტროლიორთა სიმრავლისა, ჰალსტუხების ხარისხი ჯერ კიდევ ხშირად ცუდია, და მყიდველი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს ამის გამო. ათასობით ადამიანი დაბანდებულია ყოველგვარ საკონტროლო აპარატში და მოწყვეტილია მატერიალურ წარმოებას. ეს ადამიანები საბოლოო ანგარიშით ვერ ეხმარებიან საწარმოებს იმაში, რომ აამაღლონ წარმოების დონე, რომელიც საჭიროა პროდუქციის კარგი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდია კონტროლიორების აპარატი, ჩვენი საწარმოები მთელ რიგ შემთხვევებში უშვებენ არაკეთილხარისხოვან ნაკეთობას, რაც ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით წუნით გამოწვეულმა დანაკარგებმა მრეწველობაში 1955 და 1956 წლებში დაახლოებით 6 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს იმ დროს, როცა საკავშირო და რესპუბლიკურ მრეწველობაში ტექნიკური კონტროლის 400 ათასზე მეტი მუშაკია. მაგალითად, მარტო საავტომობილო მრეწველობის, სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საწარმოებში 50 ათასამდე კონტროლიორი და წუნმდებელი მუშაობს. კონტროლიორები და წუნმდებლები ძირითად საწარმოო მუშათა მიმართ შეადგენენ, მაგალითად, მიჩურინსკის დაუშის რაოლების ქარხანაში და პირველ ბურთულსაკისრის ქარხანაში დაახლოებით 20 პროცენტს.

განა აშკარა არ არის, რომ ყოველივე ეს ამცირებს იმათ პასუხისმგებლობას, ვისაც მეუძლია უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი ხარისხი და მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. ვფიქრობთ, რომ მომწიფდა საჭიროება გადაისინჯოს კანონები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გვაქვს ამ საკითხზე, შემუშავდეს სხვა, უკეთესი, წარმოების თანამედროვე პირობების უფრო შესაბამისი კანონები. კერძოდ, მიზანშეწონილია განხილულ იქნას საკითხი წინათ არსებული იმ პრაქტიკის აღდგენის შესახებ, როცა საუკეთესო მუშებს უფლება ეძლეოდათ ჩაებარებინათ პროდუქცია თავიანთი ნიშნით ტექნიკური კონტროლის განყოფილების გვერდის ავლით.

უნდა ითქვას აგრეთვე მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შესახებ ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში. მრავალრიცხოვანი, ამჟამად ცალკეულ უწყებებში დაქაქსული სამშენებლო ორგანიზაციების ბაზაზე ეკონომიურ რაიონებში უნდა შეიქმნას ერთიანი საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაექვემდებარებიან. იმ სამშენებლო ორგანიზაციების ნაწილი, რომლებსაც სახალხო მეურნეობის საბჭოები ხელმძღვანელობენ, დაგეგმვისა და ტექნიკის განვითარების საკითხებში აგრეთვე ორმაგი დაქვემდებარების წესით იქნება შესაბამისი სამშენებლო სამინისტროების გამგებლობაში. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უშუალოდ უნდა მართონ ეს სამშენებლო ორგანიზაციები, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ სამშენებლო მექანიზმები, შევამციროთ მშენებლობის ღირებულება, უფრო სწრაფად ავამოქმედოთ სამრეწველო საწარმოთა საწარმოო სიმძლავრენი, გააძლიერებს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ტემპებს.

განხილვის მსვლელობაში ზოგიერთმა ამხანაგმა შიში გამოთქვა სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შესახებ. ეს ორგანიზაციები იქნება იმ ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების შემადგენლობაში, რომლებშიც ისინი ამჟამად ძირითად სამუშაოებს ასრულებენ. ამავე დროს ისინი იმუშავებენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ან შესაბამისი სამინისტროს გეგმით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ჯაკარტაში ჩავიდა

ჯაკარტა, 6 მაისი. (საკუთარი). დღეს 16 საათსა და 25 წუთზე იავის დროით ჯაკარტაში თვითმფრინავი „ტუ-104“ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლებნი შ. რ. რაშიდოვი, ვ. პ. ელიუტინი და ნ. ტ. ფედორენკო.

კ. ე. ვოროშილოვი ინდონეზიაში ჩამოვიდა როგორც სახელმწიფო სტუმარი მეგობრული საპასუხო ვიზიტით პრეზიდენტ სუკარნოს მოწვევით.

კემაიორანის აეროპორტი სადღესასწაულოდ არის მორთული. მაღალ ფლაგშტოკებზე ფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. აეროპორტის შენობის წინ კ. ე. ვოროშილოვისა და სუკარნოს ორი დიდი პორტრეტია. წითელ ტილოებზე მკაფიოდ გამოირჩევა სიტყვები რუსულ და ინდონეზიურ ენებზე: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრობას“. საპატიო თაღზე, რომელიც აგებულია აეროპორტის ახლოს, წარწერილია მისალმების სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენ მობრძანება, დიდებულ პატივცემულო სტუმრებო საბჭოთა კავშირიდან“.

ჯერ კიდევ დილაადრიან აეროდრომზე მოვიდნენ ჯაკარტისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი, რომელებსაც ხელში ეჭირათ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ალმები. ორი-სამი საათისათვის აქ შეგროვდა ათეულ ათასობით ადამიანი, რომლებიც წარმოადგენენ მუშების, ქალების, ახალგაზრდობის, სტუდენტების, ომის ვეტერანების მრავალ მასობრივ ორგანიზაციას, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, რაიონების დელეგაციები ეროვნული კოსტიუმებით, ბავშვები, რომლებსაც ხელში უჭირავთ პატარა ალმები და ყვავილები. აეროპორტის მოედანი სავსეა ალმებით, ლოზუნგებით, ყვავილებითა და ფერადი ტანსაცმლით.

ოთხის ნახევარზე აეროდრომზე მოვიდნენ პრეზიდენტი სუკარნო და მისი თანმხლები პირები. კ. ე. ვოროშილოვს ხვდებიან აგრეთვე პრემიერ-მინისტრი ჯუანდა, პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო და მისი მოადგილეები, კაბინეტის მინისტრები, უმაღლესი მოსამართლე ვირჯონო პროკოდიკორო და უმაღლესი სასამართლოს წევრები, გენერალური პროკურორი სუპრაპტო, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი პრინგოდიდო, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსები გენერალ-მაიორი ნასუტიონი, კონტრ-ადმირალი სუბიანტო, ავიაციის ვიცე-მარშალი სურიადარმა, ქალაქ ჯაკარტის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი დახიარი, ჯაკარტის მერი სუდირო და ფუნიციპალური საბჭოს წევრები, პოლიციის მთავარი კომისარი, უცხო სახელმწიფოთა მეთაურების მიმღები კომიტეტის მთელი შემადგენლობა, სახელმწიფო აპარატის მაღალი თანამდებობის მოხელეები, მასობრივი საზოგადოებებისა და კულტურული ორგანიზაციების, მრავალი წარმომადგენელი. ამხანაგ ვოროშილოვს ხვდებიან აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში დ. ა. ულიკოვი, საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომლები, ჯაკარტაში საბჭოთა კოლონიის წევრები, ინდონეზიაში დიპლომატიურ, საკონსულო და სავაჭრო წარმომადგენლობათა მეთაურები.

16 საათსა და 25 წუთზე „ტუ-104“ აეროდრომზე ეშვება. კ. ე. ვოროშილოვს გამოჩენისას მის პატივსაცემად გაისმის ერთა სალუტი — ქვემეხების 21 ზალპი. თვითმფრინავთან მიდის პრეზიდენტი სუკარნო და გულითადად მიესალმება კ. ე. ვოროშილოვს. სუკარნოს ვოროშილოვს წარუდგინა პრემიერ-მინისტრი ჯუანდა, პარლამენტის თავმჯდომარე სარტონი და ინდონეზიის სხვა ხელმძღვანელები.

ყეღერენ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ჰიმნები. ვოროშილოვმა და სუკარნომ ჩამოუარეს სპატიო ყარაულს მწყობრს. სუკარნომ კ. ე. ვოროშილოვს წარუდგინა მთავრობის მთელი შემადგენლობა, ინდონეზიის თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

შემდეგ სუკარნო მიკროფონთან მიდის და სიტყვას ამბობს.

პრეზიდენტ სუკარნოს სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ინდონეზიაში, კეთილი იყოს მობრძანება ჩვენს ხალხთან, ინდონეზიის დამოუკიდებელ ხალხთან! ინდონეზიის რესპუბლიკისა და ხალხის სახელით გამოვთქვამ სიხარულისა და მადლობის გრძნობას იმის გამო, რომ თქვენმა აღმატებულებამ მოისურვა ჩამოსულიყო ინდონეზიის ქვეყანაში, ინდონეზიის რესპუბლიკაში, ენახა ინდონეზიელი ხალხი. თქვენ ჩვენი ხალხი ნახეთ იმ დროს, როცა იგი იმყოფება რევოლუციის პროცესში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ რევოლუციის მიზანია მივაღწიოთ სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, სრულ სოციალურ სამართლიანობას და მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

თქვენი აღმატებულება ჩამოვიდა ინდონეზიაში ქალაქ ჯაკარტაში. როგორც უკვე წინათ ვთქვი, რევოლუცია საბჭოთა კავშირში დაიწყო ლენინგრადში, ინდონეზიელი ხალხის რევოლუცია კი დაიწყო ჯაკარტაში. თქვენო აღმატებულებავ, ინდონეზიაში დარჩებით 13 დღეს და ნახავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკურ და ეკონომიურ მშენებლობას არ მიუღწევია სათანადო დონისათვის, მაგრამ ჩვენ დაძაბულად და იმედით აღსავსენი ვშრომობთ. თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ნახავთ ჩემს სამშობლოს და, კვენნით არ ვიტყვი, ჩემი სამშობლო დედამიწაზე ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა.

თქვენი აღმატებულება იქნება ინდონეზიელ ხალხში, რომელიც არის სტუმართმოყვარე ხალხი, ხალხი, რომელსაც სურს მეგობრობა მსოფლიოს ყველა ხალხთან, ხალხი, რომელსაც უყვარს მშვიდობა.

თქვენო აღმატებულებავ, თქვენ იქნებით ინდონეზიელ ხალხში, რომელიც მადლობელი და ბედნიერია, რომ თქვენი აღმატებულება ინდონეზიაში ჩამოვიდა როგორც წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის ხალხისა, რომელიც დიდი, დიდსულოვანი ხალხია.

კვლავ ვიმეორებ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, თქვენო აღმატებულებავ!

პრეზიდენტის სიტყვამ არაერთგზის გამოიწვია ტაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა კ. ე. ვოროშილოვმა.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ბ-ნო პრეზიდენტო! ბატონებო!

მე და ჩემმა თანამგზავრებმა სიხარულის გრძნობით შემოვდგით ფეხი ინდონეზიის მიწაზე. დიდ მადლობას ვუძღვნი მის აღმატებულებას პრეზიდენტ სუკარნოს თავაზიანი მოწვევისათვის ჩამოსულიყავით თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, შეეხეთდროდით ინდონეზიელ შრომისმოყვარე ხალხს.

შარშან ჩვენ გვქონდა დიდი სიამოვნება საბჭოთა კავშირში მიგვეღო მისი აღმატებულება ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო. საბჭოთა ხალხი ჩვენი მეგობარი ინდონეზიელი ხალხის წარმომადგენელს დოქტორ სუკარნოს შეხვდა როგორც თავის კარგ მეგობარს. ბ-ნმა პრეზიდენტმა სუკარნომ მაშინ საბჭოთა ხალხს გადასცა ინდონეზიელი ხალხის სალამი. ნება მიბოძეთ ჩემი მხრივ ინდონეზიის რესპუბლიკის სტუმართმოყვარულ ქვეყანაში მოსვლისას ინდონეზიელ ხალხს გადავცე საბჭოთა ხალხის მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები.

ინდონეზიაში ჩვენ ჩამოვედით მეგობრობის ვიზიტით, დარწმუნებულნი, რომ ხელსაყრელად დაწყებული პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ისტორიული პრინციპების საფუძველზე კვლავაც განვითარდება. ამჟამად, როცა იმპერიალისტური წრეები ახორციელებენ საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების პოლიტიკას, განაგრძობენ ატომგულის იარაღით გამალებულ შეიარაღებას — ამ დროს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა ბანდუნგის კონფერენციის გადწყვეტილებათა სულისკვეთებით პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხია. მხოლოდ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ერთობის პირობით შეიძლება წინააღმდეგობა გავუწიოთ რეაქციისა და ომის შავბნელ ძალებს. ამ მხრივ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენს ქვეყანას არაერთგზის წამოუყენებია კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი, გამოხატავს რა თავისი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი, დაუცხრომლად მუშაობდეს სხვა დიდ საჩელმწიფოებს აკრძალონ ატომური და თერმოატომგულის იარაღის გამოყენება, შეწყვეტონ მისი გამოცდა, შეამცირონ შეიარაღებული ძალები. საბჭოთა კავშირი მოითხოვს უცხოთის ყველა ბაზის ლიკვიდაციას სხვის ტერიტორიებზე, უცხოთის მთელი ჯარების გაყვანას სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან. ჩვენი ქვეყანა მოითხოვს კოლონიალიზმის სრულ ლიკვიდაციას დედამიწაზე, ყველა ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას, ჩინეთისათვის ტაივანის, ინდოეთისათვის გოას ტერიტორიის, ინდონეზიისათვის დასავლეთ ირიანის დაბრუნებას.

ეს საკითხები რომ გადაიჭრას, რა თქმა უნდა, ომის საფრთხეც მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, მთელი მსოფლიო უფრო თავისუფლად იგრძნობდა თავს და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა მეგობრობისა და მშვიდობის პირობებში განვითარდებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული საერთაშორისო დაძაბულობა და ომის საფრთხე ხელს უშლის ხალხებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას. აი რა არის უბედურება. მაგრამ ხალხთა მისწრაფება მშვიდობისა და მეგობრობისადმი ისე დიდია, რომ შეიძლება იმედი ვიქონიოთ: ხალხები საერთო ღონისძიებებით მიაღწევენ იმას, რომ ომი არ იყოს. და ამის მისაღწევად ჩვენ ყველამ ბეჯითად უნდა ვიშრომოთ.

გულითად მადლობას მოვახსენებ ბ-ნ პრეზიდენტ სუკარნოსა და ყველა დამსწრეს გულთბილი შეხვედრისათვის და მოგესალმებით სამი ინდონეზიური სიტყვით, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ვიზიტის მიზანს: პერდამეიან! პესაჰაბატან! მერდეკა! მშვიდობა! მეგობრობა! თავისუფლება!

* * *

კ. ე. ვოროშილოვის სიტყვის დამთავრების შემდეგ, რომელიც მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით და მრავალგზის გამოიწვია ტაში, ჯაკარტის მერმა სუდირომ ვოროშილოვს გადასცა ქალაქ ჯაკარტის ოქროს გასაღები. ჩვენ, ჯაკარტის წარმომადგენლები, განაცხადა სუდირომ, გადმოგცემთ გასაღებს თქვენი ჩამოსვლის აღსანიშნავად, როგორც 200-მილიონიანი ხალხის წარმომადგენელს.

ამხანაგმა ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა ჯაკარტის მერს ამ საჩუქრისათვის და თქვა:

ბ-ნო მერო!

მეგობრებო!

ძლიერ გამახარა იმ ყურადღებამ და პატივმა, რომელიც ქალაქ ჯაკარტის საბჭომ დამდო. ეს გასაღები მე მომაჩნია ჩვენს ხალხებს შორის მზარდი მეგობრობის სიმბოლოდ.

ნება მიბოძეთ სულით და გულით გადაგიხადოთ მადლობა თქვენ, პატივცემულო ბ-ნო სუდირო, და ჯაკარტის ყველა მოქალაქეს ამ ძვირფასი საჩუქრისათვის.

ტრიმა კასიხ (გმადლობთ).

კლიმენტ ეფრემის-ძესთან მიირბინა ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილ ქალიშვილთა ჯგუფმა და მხრებზე გადაკიდა ყვავილწნული.

შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი და სუკარნო, რომლებსაც ყვავილების ფურცლებს აფრქვევენ, ავტომანქანებისაკენ მიდიან. ქალაქის ქუჩებში სტუმრის მხურვალედ მიესალმებოდა მილიონნახევარი ადამიანი. ინდონეზიელი ხალხი წინათ არასოდეს არ შეხვედრია ასეთი გულწრფელი აღფრთოვანებით და სიხარულით უცხოელ სტუმარს თავის ქვეყანაში. მთელი საათი დასჭირდა მანქანას, რომლითაც ვოროშილოვი და სუკარნო მიდიოდნენ, რათა გაევლო სამი კილომეტრი გზა კემაიორანის აეროპორტიდან პრეზიდენტის მერდეკის სასახლემდე, სადაც კ. ე. ვოროშილოვი იცხოვრებს. შეხვედრა ჯაკარტაში გადაიქცა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი ინდონეზიელი ხალხის მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობების მკაფიო საყოველთაო-სახალხო მანიფესტაციად.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი. 7 მაისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა XIX საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. გიამარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1.

კიშინიოვი. 7 მაისი. აქ შედგა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში ჩემპიონატის ლიდერის თბილისის „დინამოსა“ და კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის.

პირველი ტაიმი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმში კიშინიოველებმა დინამოელთა კარში პირველი ბურთი გაიტანეს, მაგრამ მალე ღოღობერიძემ საჯარიმოთი სპასუხო ბურთი გაიტანა. ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზაფხულო თეატრი
(პლეხანოვის პროსპ. № 123)
8, 9, 10 მაისს
მექსიკის სახალხო ბალეტის სოლისტების
ხოსეფინა ლავალიეს
და
ოსკარ პუენტეს
გასტროლები
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროებში.

დისერტაციის დაცვა
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1957 წ. 18 მაისს დღის 3 საათზე ფიზიკა-დიდ აუდიტორიაში (მეორე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
პოლკოვნიკ კონსტანტინეს-ძე ზერაგია
დაიცავს დისერტაციას თემაზე: „О некоторых вопросах теории уравнений параболического типа“.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ქ. თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან
ქსენია დმიტრის ასულ გრძელიშვილის
გარდაცვალებას.

შვილები რაჟდენ, ნინო, ნანი სართანიები ოჯახებით იუწყებიან
მინადორა ქაჯაია-სართანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-V სოფ. ბანძაში (ბეგეჯკორის რ.).

შვილები ქსენია, უშანგი, არსენ, ლეონიდე, მელენტი, მარგარიტა, ნორა, შალვა, რძლები ოლია, მარიამ, თამარ, ელენე, სიძეები: ძ. კირთაძე, ა. ევანია იუწყებიან
ელისაბედ ძიკის ასულ მანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-V სოფელ რიყეში (ზუგდიდის რ.).

ძმა ლავრენტი ოჯახით, რძალი მატრო, სიძეები მ. ასათიანი, ნ. ლომაძე; ქეთო, თამარ ძიძიგურები ოჯახებით იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის
ვარლამ დავითის-ძე ძიძიგურის
გარდაცვალებას. ვამოსვენება 9-V, 5 ს. მასწავლებელთა სახლიდან, ფიფრელაძის ქ. № 3.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება საქართ